საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

# 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის III შუალედური ანგარიში

ოქტომბერი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

# 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის III შუალედური ანგარიში

**ოქტომბერი**

ანგარიში მომზადდა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ, „ღია საზოგადოების ფონდის“ (OSGF) ფინანსური მხარდაჭერით. გამოცემის შინაარსზე პასუხისმგებელია საია და მასში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ გამოხატავდეს ფონდის პოზიციას.

თბილისი
2020

| | |
|---|---|
| კვლევის ხელმძღვანელები: | **სულხან სალაძე** |
| | **ვახუშტი მენაბდე** |
| ავტორთა ჯგუფი: | |
| წამყვანი მკვლევარი: | **მარიამ ლაცაბიძე** |
| მკვლევარები: | **კოკა კიღურაძე** |
| | **გვანცა ჯიქია** |
| | **ნანა ჭანტურია** |
| რედაქტორი: | **ხათუნა ყვირალაშვილი** |



აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წერილობითი ნებართვის გარეშე.



ჯ.კახიძის ქ. N15, თბილისი, საქართველო, 0102
+995 322 936101
www.gyla.ge



© საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია / 2020

## სარჩევი:


**შესავალი..... 5**

**1. სახელმწიფოსა და მმართველი პარტიის გამიჯვნის მოთხოვნის უგულებელყოფა..... 6**

**2. ამომრჩევლის მოსყიდვა..... 7**

**3. ზეწოლა და ძალადობრივი ქმედებები..... 8**

**4. წინასაარჩევნო კამპანიის ხელშეშლა..... 13**

# შესავალი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ 2020 წლის მარტიდან დაიწყო პროექტის „გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისია 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის საქართველოში“ იმპლემენტაცია. მისი მიზანია სამართლიანი, თანასწორი და კონკურენტული წინასაარჩევნო გარემოს ხელშეწყობა არჩევნების წინა პერიოდის მონიტორინგის გზით. გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის ფარგლებში ორგანიზაცია წინასაარჩევნო გარემოს 9 რეგიონული მონიტორის მეშვეობით, თბილისში, აჭარაში, გურიაში, სამეგრელო-ზემო სვანეთში, იმერეთში, შიდა და ქვემო ქართლში, მცხეთა-მთიანეთსა და კახეთში აკვირდება. მონიტორების დახმარებით, საია უზრუნველყოფს სანდო და მტკიცებულებაზე დაფუძნებული ინფორმაციის მიწოდებას საზოგადოებისთვის.

წინამდებარე ანგარიში მოიცავს 2020 წლის ოქტომბერში[1] გამოვლენილ დარღვევებს ან ცუდი პრაქტიკის მაგალითებს, რომლებიც ამახინჯებს წინასაარჩევნო გარემოს.

წინა თვეების მსგავსად, გამოწვევად რჩება სამთავრობო პროექტების პერსონიფიცირება და კონკრეტულ პარტიასთან აფილირება, რაც მმართველი პარტიის კამპანიის ნაწილად, ასევე, ამომრჩევლის ნებაზე მანიპულაციად აღიქმება. ეს შლის ზღვარს პარტიასა და სახელმწიფოს შორის. გარდა ამისა, საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა უმრავლესობის მხრიდან ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების შემთხვევაც.

წინასაარჩევნო კამპანიამ ოქტომბერშიც ძალადობრივი დაპირისპირებების ფონზე ჩაიარა. ცხელი წერტილი, ამჯერად, შიდა და ქვემო ქართლი იყო. ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლებს თავს დაესხნენ ბოლნისსა და გარდაბანში. გარდაბანში მომხდარი თავდასხმის დროს, დამატებით, ადგილი ჰქონდა სამართალდამცავების მხრიდან სავარაუდო ზეწოლასაც. ახალუბანში ერთმანეთს „ქართული ოცნებისა“ და „ევროპული საქართველოს“ წარმომადგენლები დაუპირისპირდნენ, რაშიც მხარეები ერთმანეთს ადანაშაულებენ. ყველა ეს შემთხვევა შეიცავს სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს და აუცილებელია მათი ყოველმხრივი, დროული, მიუკერძოებელი გამოძიება.

საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა საჯარო მოხელეებზე სავარაუდო ზეწოლის ფაქტი მმართველი პარტიის აგიტატორების მხრიდან. ეს საქმე შეიცავს სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს.

საიას სადამკვირვებლო მისიისთვის ამომრჩევლის მოსყიდვის ორი შემთხვევის შესახებ გახდა ცნობილი. პირველი მოხდა ივლისში და უკავშირდება თბილისის საკრებულოს წევრისა და „ქართული ოცნების“ კანდიდატის მხრიდან სოციალურად დაუცველი ოჯახისთვის საყოფაცხოვრებო ტექნიკისა და საკვები პროდუქტების გადაცემას. მეორე ფაქტი შეეხება პარტია „თავისუფალი საქართველოს“ მიერ მოქალაქეებისთვის იაფი მედიკამენტების პროგრამის შეთავაზებას, რაც კანონით აკრძალული ქმედებაა.

წინა საანგარიშო პერიოდს მსგავსად, ამჯერადაც გამოვლინდა სახელმწიფოს მხრიდან ოპოზიციის წინასაარჩევნო კამპანიისთვის დაბრკოლებების შექმნის ფაქტები. პარტია

[1] ანგარიში ფარავს 1-ლი ოქტომბრიდან 26 ოქტომბრამდე პერიოდში გამოვლენილ შემთხვევებს.

„სტრატეგია აღმაშენებელს“, დღეის მდგომარეობით, საარჩევნო ტენტების განთავსებისთვის გამოწერილი აქვს 100,000 ლარამდე ოდენობის ჯარიმები. საია შესაბამისი ორგანოების ქმედებას კანონის არასწორ ინტერპრეტაციად აფასებს.

საერთო ჯამში, საიას დამკვირვებლებმა დააფიქსირეს:

- სახელმწიფოსა და მმართველი პარტიის გამიჯვნის მოთხოვნის უგულებელყოფის 1 შემთხვევა;
- ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების 1 შემთხვევა;
- ამომრჩევლის მოსყიდვის 2 შემთხვევა;
- ზეწოლისა და ძალადობრივი ქმედებების, როგორც სავარაუდო, ისე დადასტურებული, 8 შემთხვევა;
- წინასაარჩევნო კამპანიის ხელშეშლის 2 შემთხვევა.

# 1 სახელმწიფოსა და მმართველი პარტიის გამიჯვნის მოთხოვნის უგულებელყოფა

### „ქართული ოცნების“ კანდიდატის გამოსვლა სახელმწიფო თეატრის გახსნის ღონისძიებაზე

10 ოქტომბერს ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა 160-ე თეატრალური სეზონი გახსნა, რომელსაც „ქართული ოცნების“ ქუთაისის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ზაზა ლომინაძე ესწრებოდა.[2] მოქმედმა დეპუტატმა გენადი მარგველაშვილმა ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლის დროს განაცხადა, რომ „ესტაფეტა ლომინაძემ უნდა გადაიბაროს“.[3] სიტყვა თავად კანდიდატმაც წარმოთქვა.[4] ქუთაისის სახელმწიფო დრამატული თეატრი საჯარო სამართლის იურიდიული პირია.[5]

აკრძალულია სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით ორგანიზებულ ღონისძიებაზე ორგანიზატორის მიერ წინასაარჩევნო აგიტაცია და ეს ქმედება მიიჩნევა ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებად.[6] წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში კი იკრძალება რომელიმე საარჩევნო სუბიექტის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება.[7] **„ქართული ოცნების“ ქუთაისის მაჟორიტარმა დეპუტატმა ეს წესი დაარღვია.**

### გარემოს დაცვის მინისტრის განცხადება სამთავრობო პროექტის პრეზენტაციაზე

15 ოქტომბერს მთაწმინდის პარკში ურბანული ტყის ლანდშაფტის აღდგენა-რეაბილიტაციის პროექტის პრეზენტაცია გაიმართა, სადაც გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ლევან დავითაშვილმა ამ პროექტის მნიშვნელობაზე ისაუბრა.[8] მისი თქმით, პროექტის განხორციელება შეუძლებელი იქნებოდა, რომ არა ბიძინა ივანიშვილის და ფონდ „ქართუს“ უპრეცედენტო დახმარება.[9] ფონდი „ქართუ“ მმართველი პარტიის თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილთან მჭიდროდ დაკავშირებული ორგანიზაციაა. **ხელისუფლების მხრიდან წინასაარჩევნო პერიოდში სამთავრობო პროექტების პერსონიფიცირება იმ მანიპულაციური სტრატეგიის ნაწილია, რომლის შედეგიც სახელმწიფოსა და სახელისუფლებო პარტიას შორის ზღვრის წაშლაა. ეს კი, საბოლოოდ, ამომრჩევლის აღქმას ამახინჯებს და არსებულ უმრავლესობას საარჩევნო უპირატესობას აძლევს.**

---

[2] „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" ქუთაისის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის, ზაზა ლომინაძის მიერ გაზიარებული facebook-პოსტი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3dUeOM0, განახლებულია: 23.10.2020.

[3] იქვე.

[4] იქვე.

[5] საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2015 წლის 04 თებერვლის №05/12 ბრძანება.

[6] საქართველოს საარჩევნო კოდექსის 45-ე მუხლის მე-7 ნაწილი.

[7] საქართველოს საარჩევნო კოდექსის 48-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

[8] „ლევან დავითაშვილი: „ფონდი „ქართუ“ ჩვენი მუდმივი პარტნიორი და მხარდამჭერია ძალიან ბევრ კარგ საქმეში“, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდი, 15.10.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/34t1kEd, განახლებულია: 25.10.2020.

[9] იქვე.

# 2 ამომრჩევლის მოსყიდვა

### სოციალურად დაუცველი ოჯახისთვის საყოფაცხოვრებო ტექნიკის გადაცემა („ქართული ოცნება“)

პარტია „ლელოს” დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა ლევან სამუშიამ მმართველი პარტია, კერძოდ, რიმა ბერაძე[10] მანანა სულთანიშვილის მიმართ ზეწოლაში დაადანაშაულა.[11] როგორც ირკვევა, ამა წლის წლის 11 ივლისს რიმა ბერაძემ სულთანიშვილების ოჯახს, რომელიც სოციალურად დაუცველია, საჩუქრად მაცივარი და საკვები პროდუქტები გადასცა.[12] მათ შესყიდვაზე თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატს ხარჯები არ გაუწევია.[13] კანონმდებლობის მიხედვით, პარტიას ეკრძალება წარმომადგენლის მეშვეობით საქართველოს მოქალაქეებისთვის მატერიალური ფასეულობების არაპირდაპირ გადაცემა.[14] **მოცემულ შემთხვევაში თბილისის საკრებულოს წევრმა და პარტია „ქართული ოცნების“ კანდიდატმა ეს წესი დაარღვია და ამომრჩეველი მოისყიდა.**

### მოქალაქეებისთვის მედიკამენტების შეღავათიან ფასად შეთავაზება („თავისუფალი საქართველო“)

15 ოქტომბერს „თავისუფალმა საქართველომ“ პარტიის პირველი აფთიაქი გახსნა.[15] მისი ლიდერის კახა კუკავას განცხადებით, „იაფი მედიკამენტების პროგრამა“, რომელსაც პოლიტიკური გაერთიანება გასული წლის სექტემბრიდან ახორციელებს, ამიერიდან უფრო ხელმისაწვდომი გახდება.[16] პარტიის ინფორმაციით, მოქალაქეები მათთან შეძლებენ იმ მედიკამენტების 70-80%-იანი შეღავათით შეძენას, რომლებიც სააფთიაქო ბაზარზე ძვირი ღირს.[17]

კანონმდებლობით, საარჩევნო სუბიექტს ეკრძალება ვინმეს მეშვეობით საქართველოს მოქალაქეებისთვის საქონლის მიყიდვა შეღავათიან ფასად.[18] **მოცემულ შემთხვევაში საარჩევნო კანდიდატმა ეს წესი დაარღვია და ამომრჩეველი მოისყიდა.**

---

[10] თბილისის საკრებულოს ჩუღურეთის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი და პარტია „ქართული ოცნების“ პარტიული სიის 36-ე წევრი 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში.

[11] იხ. 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის II შუალედური ანგარიში, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი, სექტემბერი, გვ. 9, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/31LzBg4, განახლებულია: 25.10.2020.

[12] „რიმა ბერაძემ სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე ოჯახს საჩუქრად მაცივარი გადასცა“, ქალაქ თბილისის საკრებულოს ოფიციალური ვებგვერდი, 11.07.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/35v8B5B, განახლებულია: 25.10.2020.

[13] ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 13 ოქტომბრის N03-03202872 წერილი.

[14] მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ საქართველოს კანონის $25^2$-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

[15] „თბილისში „თავისუფალი საქართველოს“ პირველი აფთიაქი გაიხსნა“, პარტია „თავისუფალი საქართველოს“ ოფიციალური ვებგვერდი, 15.10.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/37CGowk, განახლებულია: 25.10.2020.

[16] იქვე.

[17] იქვე.

[18] საქართველოს საარჩევნო კოდექსის 47-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი.

# 3 ზეწოლა და ძალადობრივი ქმედებები

### საჯარო მოხელეებზე სავარაუდო ზეწოლა („ქართული ოცნება“)

9 ოქტომბერს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ და „გაერთიანებული ოპოზიცია - ძალა ერთობაშიას“ სამგორის რაიონის მაჟორიტარობის კანდიდატმა ლევან ხაბეიშვილმა გამართა პრესკონფერენცია, სადაც „ქართული ოცნების“ აგიტატორების მხრიდან საჯარო მოხელეების მიმართ ზეწოლაზე ისაუბრა.[19] კერძოდ, მაჟორიტარი კანდიდატის თქმით, სოზარ სუბარმა და „ქართული ოცნების“ სამგორის შტაბის ხელმძღვანელმა რევაზ სოხაძემ პირველი კარდაკარის შემდეგ მმართველი პარტიის აგიტატორებს დაავალეს სამგორის რაიონში მცხოვრები საჯარო მოხელეების შესახებ ინფორმაციის შეგროვება ხმების მოპოვების მიზნით.[20] ლევან ხაბეიშვილმა საჯარო მოხელისა და მმართველი პარტიის აგიტატორის საუბრის ჩანაწერი გაასაჯაროა, სადაც „ქართული ოცნების“ სამგორის რაიონის შტაბის წარმომადგენელი ამბობს: მას შემდეგ, რაც შეიტყვეს, რომ უბანს აგებდნენ, სამგორის რაიონის საარჩევნო შტაბიდან მიიღეს დავალება საჯარო მოხელეების მობილიზებაზე შანტაჟისა და დაშინების გზით.[21] პარტიის ინფორმაციით, ამ განცხადებას რეაგირება არ მოჰყოლია და არც გამოძიება დაწყებულა.

ეს შემთხვევა შეიცავს ამომრჩევლის ნებაზე ზეგავლენის ნიშნებს იძულების გზით, რაც სისხლის სამართლის დანაშაულია.[22] **საია მოუწოდებს საგამოძიებო უწყებებს, დაიწყონ ამ ფაქტის გამოძიება.**

### „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრზე თავდასხმა

11 ოქტომბერს მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტის და ,,გაერთიანებული ოპოზიცია - ძალა ერთობაშიას“ სამგორის რაიონის მაჟორიტარობის კანდიდატის ლევან ხაბეიშვილის საარჩევნო შტაბის წევრ ლევან ქართველიშვილს თავს დაესხნენ.[23] დაზარალებულის თქმით, თბილისში, ბახტრიონის ქუჩაზე, ორმა უცნობმა პირმა ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერი მაისურის გამო სცემა.[24] პარტიის ინფორმაციით, გამოძიება დაწყებულია და ლევან ქართველიშვილი გამოკითხვაზე იმყოფებოდა. **საია მოუწოდებს შესაბამის უწყებებს, გამოძიების პროცესი უმოკლეს ვადებში, ობიექტურად და გამჭვირვალედ წარმართონ.**

---

[19] „ოცნების აგიტატორი: სამგორში არჩევნებს ვაგებთ და ამიტომ საჯარო მოხელეებს ვიწერთ, რომ ხმა მოგვცენ“, ლევან ხაბეიშვილის ოფიციალური Facebook-გვერდი, 09.10.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3dMTzfr, განახლებულია: 18.10.2020.

[20] იქვე.

[21] იქვე.

[22] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის $164^4$-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

[23] „თბილისში ლევან ხაბეიშვილის საარჩევნო შტაბის წევრს სცემეს“, საინფორმაციო პორტალი - ტელეკომპანია „მთავარი არხი“, 11.10.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3dTBKLz, განახლებულია: 25.10.2020.

[24] იქვე.

## თავდასხმა ოქტაი სკანდაროვზე

12 ოქტომბერს გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ ყარაχალაში ოქტაი სკანდაროვს თავს დაესხნენ.[25] სკანდაროვი პოლიციის განყოფილებაში იმყოფებოდა, სადაც ფაქტთან დაკავშირებით ჩვენება მისცა.[26] გამოკითხვის შემდეგ მან „მთავარ არხს" განუცხადა, რომ იგი „ქართული ოცნების" წევრია და შემთხვევა პოლიტიკური მოტივით არ მომხდარა.[27]

„ევროპული საქართველოს" გარდაბნის რაიონის შტაბის ხელმძღვანელმა გაბილ გასიმოვმა მომხდართან დაკავშირებით განმარტა, რომ ოქტაი სკანდაროვს ჩვენება შეაცვლევინეს და, სინამდვილეში, ის მათი პარტიის წევრია.[28] გასიმოვის თქმით, მათი პარტიის კოორდინატორს „ქართული ოცნების" წარმომადგენლები თავს მას შემდეგ დაესხნენ, რაც სკანდაროვმა „ევროპული საქართველოს" პლაკატების ჩამოხევის გამო მათ შენიშვნა მისცა.[29] გასიმოვი აცხადებს, რომ სკანდაროვს ორმა პირმა სცემა. მან ორივე მათგანი ამოიცნო და ჩვენებაც მისცა, თუმცა მმართველი პარტია მას და მის ოχახს დაემუქრა.[30]

სამართალდამცავების მხრიდან შესაძლოა განხორციელდა ჩვენების მიცემის იძულება, რაც სისხლის სამართლის დანაშაულია.[31] **საია პროკურატურას მოუწოდებს, ფაქტზე დაიწყოს გამოძიება.**

## სავარაუდო ზეწოლა „ლელოს" წევრზე

12 ოქტომბერს „ლელოს" ზუგდიდის ორგანიზაციაში პრესკონფერენციაზე წალენχიხა-ჩხოროწყუ-მარტვილი-აბაშის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის პრესსამსახურის უფროსმა დიმა კვარაცხელიამ განაცხადა, რომ მას „ქართული ოცნების" χვარის შტაბის წარმომადგენელი გულბათ ქარდავა დაემუქრა.[32]

საიას გრძელვადიან მისიასთან საუბრისას მან განმარტა, რომ ლექციას ესწრებოდა, როდესაც უცნობმა პირმა დაურეკა, სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა და, საქმიანობის გაგრძელების შემთხვევაში, ფიზიკური ანგარიშსწორებით დაემუქრა. წალენχიხის „ქართული ოცნების" საარჩევნო შტაბში მუქარის ბრალდებას უარყოფენ.[33] χვარში „ქართული ოცნების" შტაბის წევრის, ზაალ არქანიას თქმით, დიმა კვარაცხელიამ Facebook-ზე დაწერა პოსტი „ლელოს" ბანერის „ქართული ოცნების" კანდიდატ ალექსანდრე მოწერელიას საარჩევნო ბანერით ჩანაცვლების თაობაზე. ამასთან დაკავშირებით გულბათ ქარდავამ მას სატელეფონო ზარით განუმარტა, რომ ეს მეწარმესთან შეთანხმებით მოხდა.[34] Facebook-პოსტი წაშლილია. დიმა კვარაცხელიამ საიას სადამკვირვებლო

---

[25] „ნაცემი ოპოზიციონერის შეცვლილი ჩვენება - დაკითხვის შემდეგ სკანდიროვი ამბობს, რომ „ოცნების" და ივანიშვილის მხარდამჭერია", საინფორმაციო პორტალი - ტელეკომპანია „მთავარი არხი", 12.10.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3e25TZ2, განახლებულია: 28.10.2020.

[26] იქვე.

[27] იქვე.

[28] „ევროპული საქართველოს" ცნობით, მათ აქტივისტს სცემეს და მუქარის შედეგად ჟურნალისტებთან საუბარი აუკრძალეს", საინფორმაციო პორტალი „ნეტგაზეთი", ხელმისაწვდომია: https://bit.ly/31RfsoR, განახლებულია: 28.10.2020.

[29] იქვე.

[30] იქვე.

[31] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 335-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

[32] „ლელოში" აცხადებენ, რომ პრესსამსახურის თანამშრომელს „ოცნების" შტაბიდან ემუქრებიან", საინფორმაციო პორტალი „ლაივპრესი", 12.10.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3kkVsSE, განახლებულია: 18.10.2020.

[33] იქვე.

[34] იქვე.

მისიასთან განმარტა, რომ მისი პირადი გვერდის გატეხა არაერთხელ სცადეს და პოსტიც მას არ წაუშლია.

ეს შემთხვევა შეიცავს იძულების,[35] კომპიუტერულ სისტემაში უკანონოდ შეღწევისა[36] და პერსონალური მონაცემების უკანონოდ მოპოვება-დამუშავების ნიშნებს.[37] ორივე სისხლის სამართლის დანაშაულია. **საია საგამოძიებო უწყებებს მოუწოდებს, დაიწყონ გამოძიება.**

## „ევროპული საქართველოს“ ოფისს აგური ესროლეს

13 ოქტომბერს „ევროპული საქართველოს“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა ოთარ კახიძემ Facebook-ზე გამოაქვეყნა პოსტი, სადაც ჩანს პირი, რომელიც, სავარაუდოდ, აგურს ესვრის პარტიის ქუთაისის ოფისს.[38] პარტიის ინფორმაციით, შემთხვევის შედეგად დაზიანდა ბანერი, მინები კი ჩამსხვრევას იმიტომ გადაურჩა, რომ ბრონირებული იყო.[39]

შსს-ს ინფორმაციით, მომხდართან დაკავშირებით გამოძიება დაიწყო სხვისი ნივთის დაზიანების ფაქტზე.[40] უწყების განმარტებით, მათ წარსულში ნასამართლევი პირი ამხილეს და დაადგინეს, რომ მიყენებული ზარალი 80 ლარს შეადგენდა.[41] ვინაიდან მომხდარი სისხლისსამართლებრივი დანაშაულის ნიშნებს არ შეიცავდა, მათ საქმე ადმინისტრაციული წესით განსახილველად სასამართლოში გადაგზავნეს.[42] ქუთაისის საქალაქო სასამართლომ საქმე წვრილმან ხულიგნობად შეაფასა[43] და პირს სიტყვიერი შენიშვნა მისცა.[44] **საია მიესალმება სამართალდამცავი უწყებების მხრიდან დროულ რეაგირებას.**

## დაპირისპირება ახალუბანში

16 ოქტომბერს შიდა ქართლში, სოფელ ახალუბანში, ერთმანეთს „ქართული ოცნებისა“ და „ევროპული საქართველოს“ წარმომადგენლები დაუპირისპირდნენ. მხარეები კონფლიქტში ერთმანეთს ადანაშაულებენ.

„ევროპული საქართველოს“ განცხადებით, სოფელ ახალუბანში პარტიის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის, ლევან თარხნიშვილის პლაკატზე გადაკრული იყო „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის გიორგი ხოჯევანიშვილის პლაკატი.[45] პარტიის წარმომადგენლის, ეთერ ჯალაღანიას თქმით, იგი ხოჯევანიშვილის პლაკატს ხევდა, რათა მის ქვეშ არსებული თარხნიშვილის პლაკატი და წარწერა „ევროპული საქართველო“ გამოჩენილიყო.[46] ამ დროს კი მას თავს დაესხნენ მთვრალი ახალგაზრდები

---

[35] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 150-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

[36] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 284-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

[37] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 157-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

[38] „გუშინ ჩვენს ოფისს აგურები დაუშინეს“, ოთარ კახიძის Facebook-გვერდი, 13.10.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/358TMFF, განახლებულია: 18.10.2020.

[39] იქვე.

[40] „შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება“, შსს-ს ოფიციალური ვებგვერდი, 16.10.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3dSO3ro, განახლებულია: 25.10.2020.

[41] იქვე.

[42] იქვე.

[43] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლი.

[44] „შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება“, შსს-ს ოფიციალური ვებგვერდი, 16.10.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3dSO3ro, განახლებულია: 25.10.2020.

[45] „სოფელ ახალუბანში „ევროპული საქართველოს წევრებს თავს დაესხნენ“, შიდა ქართლის საინფორმაციო ცენტრი, ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/37TXvKp, განახლებულია: 27.10.2020.

[46] დაპირისპირება ახალუბანში, ტელეკომპანია „თრიალეთი“, ტელეკომპანიის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3e0PynC, განახლებულია: 27.10.2020.

და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს,[47] კერძოდ, ყელში წაუჭირეს და სათვალე დაუმტვრიეს.[48]

„ქართული ოცნების“ განმარტებით, „ევროპული საქართველოს“ წარმომადგენელი მოსახლეობას ცეცხლსასროლი იარაღით დაემუქრა.[49] მუქარა მოჰყვა ადგილობრივი მოსახლეობის პროტესტს „ევროპული საქართველოს“ წევრის მიერ „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის პლაკატის ჩამოხევის გამო.[50]

სატელევიზიო სიუჟეტში ჩანს, როგორ ხევს „ევროპული საქართველოს“ წარმომადგენელი გიორგი ხოჯევანიშვილის პლაკატს, რომლის მიღმაც მისი პარტიის პლაკატის ნაწილი ჩანს.[51] ამ ინციდენტზე შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება დაიწყო ძალადობის მუხლით.[52] 26 ოქტომბრის მონაცემებით, საქმეზე უკვე გამოჰკითხეს „ევროპული საქართველოს“ წარმომადგენლები.[53] **საია სამართალდამცავ ორგანოებს მოუწოდებს, ეს შემთხვევა დროულად გამოიძიონ, ხოლო პროცესი ობიექტურად და გამჭვირვალედ წარმართონ.**

## თავდასხმა კახა ოქრიაშვილის მხარდამჭერზე

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ გავრცელებული ინფორმაციით, 19 ოქტომბერს ბოლნისში მანქანას, რომელშიც „ძალა ერთობაშიას” კანდიდატის, კახა ოქრიაშვილის მხარდამჭერები ისხდნენ, ესროლეს.[54] კახა ოქრიაშვილის შტაბის წევრი აცხადებს, რომ რვა სავარაუდო თავდამსხმელიდან ორი ამოიცნო.[55] მისი თქმით, ერთ ავტომობილს, რომლითაც მიქელაძეს და მის თანამგზავრს აედევნნენ, ბოლნისის საკრებულოს წევრი ბექა წაქაძე მართავდა, მეორეს კი - „ქართული ოცნების" მაჟორიტარობის კანდიდატის, გოგი მეშველიანის შტაბის წევრი აჩიკო მინდიაშვილი.[56] პარტიის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ამ ფაქტს რეაგირება არ მოჰყოლია, არავინ გამოუკითხავთ და გამოძიებაც არ დაწყებულა. **საია მოუწოდებს საგამოძიებო უწყებებს, გამოიძიონ ეს შემთხვევა.**

---

[47] იქვე.

[48] „ევროპული საქართველოს" გორის ორგანიზაციის განცხადებით, მათ ახალუბანში „ოცნების" მხარდამჭერები დაუპირისპირდნენ“, რადიო „თავისუფლების“ ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2TwdaH9, 27.10.20. განახლებულია: 27.10.2020.

[49] „ქართული ოცნების“ ინფორმაციით, სოფელ ახალუბანში „ევროპული საქართველოს“ წარმომადგენელი ადგილობრივებს ცეცხლსასროლი იარაღით დაემუქრა, ტელეკომპანია „იმედის“, ტელეკომპანიის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3oA44Ys, განახლებულია: 27.10.20.

[50] იქვე.

[51] „დაპირისპირება ახალუბანში, ტელეკომპანია“, „თრიალეთი“, ტელეკომპანიის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/31NKgqy, განახლებულია: 27.10.20.

[52] „ახალუბანში მომხდარ დაპირისპირებას „ქართული ოცნება“ „ევროპულ საქართველოს“ აბრალებს“, on.ge-ს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3jHON4c, განახლებულია: 27.10.20.

[53] „ახალუბანში მომხდარი ძალადობრივი ინციდენტი და წინასაარჩევნო ურთიერთბრალდებები“, ვებპორტალი Human Rights, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3e4V2xN, განახლებულია: 27.10.20.

[54] „მანქანას, სადაც კახა ოქრიაშვილის მხარდამჭერები ისხდნენ, ესროლეს - ენმ“, საინფორმაციო პორტალი „პუბლიკა“, 19.10.2020. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3mnu0of, განახლებულია: 25.10.2020.

[55] „ამოცნობილი მოძალადეები და არცერთი დაკავებული - ოპოზიციაზე თავდასხმა ბოლნისში“, საინფორმაციო პორტალი - ტელეკომპანია „მთავარი არხი“, 20.10.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2TqUVCQ, განახლებულია: 25.10.2020.

[56] იქვე.

## დაპირისპირება დმანისში

21 ოქტომბერს დმანისში, „ქართული ოცნების“ ოფისთან, ინციდენტი მოხდა.[57] არსებული ინფორმაციით, შემთხვევის დროს ცეცხლსასროლი იარაღიდან გაისროლეს, რის შედეგადაც არიან დაშავებულები.[58] მმართველი პარტიის აღმასრულებელი მდივანი ირაკლი კობახიძე ფაქტს პროვოკაციად აფასებს.[59]

„ნაციონალური მოძრაობის“ წევრის, დიმიტრი შაშკინის განცხადებით, ერთმანეთს ცეცხლი „ქართული ოცნების“ წევრებმა გაუხსნეს. შაშკინი განმარტავს, რომ ინციდენტში მონაწილე პირებს შორის დაპირისპირება „ქართული ოცნების“ შტაბიდან გამოგზავნილმა ფულმა და ბენზინის ტალონებმა განაპირობა, რომლებიც დამნაშავეებმა ვერ გაიყვეს.[60]

მომხდარზე გამოძიება ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებისა[61] და იარაღის უკანონო შეძენა-შენახვის[62] ბრალდებით დაიწყო.[63] **საია მოუწოდებს საგამოძიებო უწყებებს, პროცესი ობიექტურად და გამჭვირვალედ წარმართონ.**

---

[57] „დმანისში, „ქართული ოცნების“ ოფისთან, ინციდენტი მოხდა, არსებული ინფორმაციით, არიან დაშავებულები“, საინფორმაციო პორტალი - ტელეკომპანია „პირველი არხი“, 21.10.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2G0upxk, განახლებულია: 25.10.2020.

[58] იქვე.

[59] „ირაკლი კობახიძე - დმანისში, ჩვენი პარტიის ოფისთან, იყო მძიმე პროვოკაცია, როგორც ვიცი, გაისროლეს და ადამიანები არიან დაჭრილები - უმკაცრესი რეაგირებაა საჭირო“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 21.10.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3jp94en, განახლებულია: 25.10.2020.

[60] „დიმიტრი შაშკინის განცხადებით, დმანისში ერთმანეთს ცეცხლი „ქართული ოცნების“ წევრებმა გაუხსნეს, რადგან „მათ შტაბიდან გამოგზავნილი ფული და ბენზინი ვერ გაიყვეს“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 22.10.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/31BYM4Q, განახლებულია: 25.10.2020.

[61] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლი.

[62] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლი.

[63] „დიმიტრი შაშკინის განცხადებით, დმანისში ერთმანეთს ცეცხლი „ქართული ოცნების“ წევრებმა გაუხსნეს, რადგან „მათ შტაბიდან გამოგზავნილი ფული და ბენზინი ვერ გაიყვეს“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 22.10.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/31BYM4Q, განახლებულია: 25.10.2020.

# 4 წინასაარჩევნო კამპანიის ხელშეშლა

### „სტრატეგია აღმაშენებლის“ ოთხი წევრის დაკავება

5 ოქტომბერს „სტრატეგია აღმაშენებლის” წევრებმა მერიასთან აქცია-პერფორმანსი გამართეს.[64] ისინი პარტიის მიმართ გამოწერილ ჯარიმებს აპროტესტებდნენ.[65] მათ მერიის წინ გაშალეს დაბრენდილი კარვები საბანკო სესხების განახევრების მოთხოვნით ხელმოწერების შეგროვების მიზნით.[66] ადგილზე წინასწარ იყო მობილიზებული მერიის დაცვის სამსახური, რომელსაც რკინის ჯებირებით ჰქონდა ჩახერგილი შენობის ცენტრალური შესასვლელი. პარტიის ლიდერთა მოთხოვნაზე, გაეხსნათ მოქალაქეთა მისაღები და მიეცათ განაცხადის შეტანის შესაძლებლობა, მერიის დაცვის სამსახურმა და პოლიციელებმა უარი უთხრეს.[67] ამას მოჰყვა „სტრატეგია აღმაშენებლის” გენერალური მდივნისა და აქტივისტების დაკავება, სამართალდამცავი ორგანოს მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის საფუძველზე.[68] პოლიციამ, პარალელურად, დაიწყო მერიის წინ არსებული კარვების დაშლა.[69] დაკავებულები გაათავისუფლეს იმავე დღეს.[70] პარტიის ინფორმაციით, მათ ჩაჰბარდათ ჯარიმა კარვის დადგმისთვის.[71]

*(1) ტენტის აღება*

აქციის მიმდინარეობისას სხვადასხვა კონსტრუქციის დადგმა შეკრებისა და მანიფესტაციის უფლებით დაცულ სფეროში ექცევა. ის მხოლოდ მაშინ არის დაუშვებელი, თუ ტრანსპორტის სავალ ნაწილს კეტავს.[72] მოცემულ შემთხვევაში ტენტების განლაგება ტრანსპორტის გადაადგილებას ხელს არ უშლიდა. ამდენად, მათი აღება იყო უსაფუძვლო და შეკრების თავისუფლებაში არაპროპორციული და არააუცილებელი ჩარევა. შეკრებაში მონაწილეობის უკანონო ხელშეშლა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ისჯება კანონით.

*(2) ადმინისტრაციული ჯარიმები*

საიას გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის ინფორმაციით, მერიის მუნიციპალური ინსპექციის მიერ პარტიის წინააღმდეგ გამოწერილია ადმინისტრაციული ჯარიმები საარჩევნო კარვების, ე.წ. ტენტების, თვითნებურად განთავსებისთვის. ამ დროისთვის ჯარიმების ოდენობა 100 000 ლარს შეადგენს.

---

[64] პარტია „სტრატეგია აღმაშენებლის“ 2020 წლის 6 ოქტომბრის წერილი.

[65] საიას გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის ინფორმაციით, მერიის მუნიციპალური ინსპექციის მიერ პარტიის წინააღმდეგ გამოწერილი ადმინისტრაციული ჯარიმები ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კონსტრუქციების თვითნებურად განთავსებისთვის, ამ დროისთვის უკვე 100 000 ლარამდეა ასული.

[66] პარტია „სტრატეგია აღმაშენებლის“ 2020 წლის 6 ოქტომბრის წერილი.

[67] იქვე.

[68] იქვე.

[69] იქვე.

[70] იქვე.

[71] ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის საჯარიმო ქვითარი, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი N003544, 05.10.2020.

[72] შეკრებისა და მანიფესტაციის შესახებ საქართველოს კანონის მე-11[1] მუხლის მე-4 ნაწილი.

კანონით, დახლების ან სხვა მსუბუქი კონსტრუქციების თვითნებურად განთავსება წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას.[73] მისი ზედამხედველობა და დემონტაჟი მუნიციპალური ინსპექციის უფლებამოსილებაა.[74] ამ ნორმის მიზანია, დაიცვას ქალაქის იერსახე და არ დაუშვას მისი შეცვლა ისეთი კონსტრუქციებით თვითნებურად განთავსებით, როგორიცაა დახლი, ჯიხური ან/და „სხვა მსუბუქი კონსტრუქცია". ტერმინი „მსუბუქი კონსტრუქცია" ფართო ცნებაა. მნიშვნელოვანია, რომ იგი ნორმის მიზნიდან გამომდინარე განიმარტოს, იმგვარად, რომ ადამიანის უფლებები არაპროპორციულად არ შეიზღუდოს. პარტია „სტრატეგია აღმაშენებლის" აქტივისტების მიერ ე.წ. ტენტების გაშლა ხელმოწერების შეგროვების მიზნით მოკლე დროით შემოსაზღვრული აქტივობა იყო, რომელიც პოლიტიკურ აგიტაციას ემსახურებოდა. კანონმდებელს კი ამგვარი ატრიბუტების გამოყენების შეზღუდვის მიზანი არ ჰქონია. მუნიციპალური ინსპექციის მითითების შედეგად, პარტიას აქტივობების შეწყვეტა მოუწია.

**საია მიიჩნევს, რომ (1) ტენტის აღება წარმოადგენდა შეკრების თავისუფლებაში უკანონო ჩარევას; (2) პარტიის მიმართ გამოწერილი ჯარიმები ემყარება კანონის არასწორ ინტერპრეტაციას და, შესაბამისად, უსაფუძვლოა.**

### „ლელოს" სააგიტაციო მასალების განთავსების საშუალება არ მისცეს

8 ოქტომბერს „ლელოს" ისნის რაიონის მაჟორიტარობის კანდიდატი ლანა გალდავა და პარტიის აქტივისტები კახეთის გზატკეცილის №7-ის მიმდებარე ტერიტორიაზე, ე.წ. „სამგორის ხიდების" ბოძებზე, მაჟორიტარობის კანდიდატის პლაკატების გაკვრას ცდილობდნენ, რაშიც სამართალდამცავებმა ხელი შეუშალეს.[75]

მუნიციპალიტეტები განსაზღვრავენ, მათ ტერიტორიაზე რომელ შენობა-ნაგებობებზეა აკრძალული/ნებადართული სააგიტაციო მასალების განთავსება.[76] ქ. თბილისის მუ-ნიციპალიტეტის 2020 წლის 8 სექტემბრის №63-98 დადგენილებით განისაზღვრა აკრძალული ზონები.[77] დადგენილების დანართებით (№1 და №2) მონიშნულია ის ადგილები/მისამართები, სადაც სააგიტაციო მასალის გაკვრა არ შეიძლება.[78] ასევე, განსაზღვრულია, რომ გარდა დანართებში მოცემული შეზღუდვებისა, სააგიტაციო მასალის გაკვრა დასაშვებია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ყველა ობიექტზე.[79]

საკრებულოს დადგენილების დანართებით განსაზღვრულ აკრძალულ ზონებში არ ექცევა ის ტერიტორია, სადაც „ლელოს" აქტივისტები პლაკატებს აკრავდნენ. ამდენად, სამარ-თალდამცავებმა პარტიის წარმომადგენლებს ხელი უსაფუძვლოდ შეუშალეს. საარჩევნო კოდექსი კრძალავს სააგიტაციო მასალების გავრცელების ხელშეშლას და ამ ტიპის დარღვე-ვისთვის ითვალისწინებს ადმინისტრაციულ ჯარიმას.[80] **საია მიიჩნევს, რომ სამართალ-დამცავთა მხრიდან ჩარევა განხორციელდა კანონის დარღვევით და იყო უსაფუძვლო.**

---

[73] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 150[1]-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილები.

[74] ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის დებულების დამტკიცების შესახებ" 2018 წლის 25 სექტემბრის N28-94 დადგენილების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ" ქვეპუნქტი.

[75] ფეისბუქის პირდაპირი ჩართვის 2020 წლის 8 ოქტომბრის 13:38 სთ-ზე ჩაწერილი ვიდეო, ლანა გალდავას ოფიციალური ფეისბუქგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3mh8Tnt, განახლებულია: 24.10.20.

[76] საქართველოს საარჩევნო კოდექსის 46-ე მუხლის მე-4 ნაწილი.

[77] ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №63-98, 2020 წლის 8 სექტემბერი, წინასაარჩევნო კამპანიასთან (აგიტაციასთან) დაკავშირებით ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ, თბილისის საკრებულოს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3dVZT4j, განახლებულია: 24.10.20.

[78] იქვე, 1-ლი მუხლი.

[79] იქვე, მე-4 მუხლი.

[80] საქართველოს საარჩევნო კოდექსის მე-80 მუხლის 1-ლი ნაწილი.